ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 129

ქალაქი ქუთაისი 12 დეკემბერი 2018 წელი

ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩის I ჩიხის № 5-ში მდებარე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სტარდის“ კუთვნილი მიწის ნაკვეთში, საწყობის შენობის მშენებლობისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილების 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

მუხლი 1. დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩის I ჩიხის №5-ში მდებარე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სტარდის“ კუთვნილი მიწის ნაკვეთში, საწყობის შენობის მშენებლობისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმა.

(შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სტარდის“ კუთვნილი მიწის ნაკვეთში, საწყობის შენობის მშენებლობისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმა განკარგულების დედანს თან ერთვის)

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ლატარია